საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ...
4 „ 15 „ ...
ხამგლოვიარო განცხადება
1 გვ. ... ჩერვონ.
4 „ 1 8. — „

№ 617 შაბათი, ნოემბერი 10, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

ხელოვნების სასახლე
სრულიად საქართველოს მწერალთა
კ ა ვ შ ი რ ი
შაბათს, 10 ნოემბერს,
გაიმართება
ლიტერატურული
საღამო

1. პაოლო იაშვილი შესავალი სიტყვა.
2. კ. კაპანელი ტროპიზმი და მარადობის იდეა.
მოხსენების თავმჯდომარე: გრიგოლ რობაქიძე.
ოპონენტი: პროფესორი შალვა ნუცუბიძე.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

საღამოს დაწყების შემდეგ დარბაზში არავის არ შეუშვებენ.
წევრთათვის დასწრება უფასოა.
ბილეთების ფასი 1 და 2 მილიონი.

1—1

## პოლიტიკური ნიუანსები

გერმანეთის პოლიტიკური ცხოვრება კიდევ ახალ ფაქტებს გვაწვდის. საქსონიის შემდეგ რეაქციის ტალღა ტიურინგიასაც იპყრს და მასიურ დაპატიმრებით ემუქრება რევოლიუციონურ ელემენტებს.

საიმპერიო მთავრობას მეტი არა დარჩენია, რომ მცხოვრებთ მოუწოდოს „წესრიგისა და მშვიდობიანობისაკენ“.

ეს საიმპერიო მთავრობა დღეს ნიადაგ გამოცლილია. თუ იგი გუშინ დიდ კოალიციას ემყარებოდა, დღეს ცდილობს მცირე კოალიცია მაინც შექმნას. იგი უძლურია უკიდურეს მემარჯვენეთა წინააღმდეგ, ხოლო ძლიერია მემარცხენეთა მიმართ ბრძოლაში. ასეთ პირობებში ფაშისტური რაზმი გენერალ ლიუდენდორფის მეთაურობით ცდილობს ბერლინზედ გალაშქრებას.

წითელი საქსონია და წითელი ტიურინგია აღარ არსებობს, მუშათა კლასისათვის მწვავე და მძიმე პირობებია შექმნილი. გერმანეთის ხალხისათვის უბედურობის, განადგურების და დაბეჩავების დღეებია.

ასეთ პირობებში საკვირველი არ იქნება ფაშიზმის გამარჯვება, ეს ფაქტი კიდევ უფრო გაამწვავებს, გაართულებს და არევ-დარევას შეიტანს გერმანეთის ცხოვრებაში. ყველაზედ უფრო ნაკლებად შეუძლია დღეს გერმანეთის ფაშისტებს გერმანეთის „ხსნა“.

თუ იტალიაში ფაშიზმი დამკვიდრდა, ეს გასაგებია, რადგან იქ ფაშისტური ნაციონალიზმი გამარჯვებულ ქვეყანაში თარეშობდა, ხოლო გერმანიის ფაშიზმი დამარცხებული და განადგურებული ქვეყნის ფაშიზმია, რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში შეუძლია სარევანშო პოლიტიკის წარმოება, რაც ავანტიურა იქნებოდა გერმანეთის ერის მიმართ და რაც უეჭველად ისევ ფაშიზმის დამარცხებით დასრულდება.

ობიექტიურად დღეს ფაშიზმს შეუძლია ძალაუფლების დაპყრობა. ამას ხელს უწყობს სოციალ-დემოკრატიის მოღალატური პოლიტიკა და შტრეზემანის მოწოდება „წესიერებისაკენ“, მაგრამ ფაშიზმს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია გერმანეთის საკითხის გადაწყვეტა, ის კიდევ მეტად გაართულებს მდგომარეობას და თავის და უნებურად ხელს შეუწყობს პროლეტარული რევოლიუციის მოახლოვებას. ნურვინ ფიქრობს, რომ წითელი საქსონიისა და წითელი ტიურინგიის ტრაგედია დასრული იყოს გერმანეთის მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის, არა, თუ ეს ერთი მხრით დამარცხებაა, მეორე მხრივ გამოაშკარავებაა მოწინააღმდეგე ძალთა ფიზიონომიისა, გაკოტრების სოციალ-დემოკრატიის, რაც ხელის შეწყობაა მუშათა კლასის დარაზმვის კომპარტიის ირგვლივ.

ამ რიგად ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ეს მოძრაობა დაკლაკნილად მიდის. დამარცხებას გამარჯვება თან მისდევს და მანამ არ დასრულდება ძალთა ჭიდილი, სანამ პროლეტარული რევოლიუცია მკვიდრ საფუძველზედ არ დააყრდენს გერმანეთის ხალხის თავისუფლების საქმეს.

## მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის მეორე ყრილობა

### პირველი სხდომა.

ნოემბრის 7-ს დიდი ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავზე, პარტ. ცენტრალურ კლუბში საღამოს სრულ 5 საათზე გაიხსნა საქ. მემარცხ. სოც.-ფედერ. პარტიის მეორე ყრილობა. ყრილობაზე გამოცხადდა 55 დელეგატი. მათ შორის უმეტესობა მუშები და სოფლის პროლეტარული გლეხობა იყო. ერთხელ კიდევ დავარწმუნეთ ჩვენი მტერ მოყვარენი იმაში, რომ მემარ. სოც.-ფედერალისტთა პარტია არ არის შემდგარი იმ ჭრელი მასებიდან, რომელთა უმრავლესობას ადგილი ჰქონდა ფედერალისტთა პარტიაში 1921 წლამდე. ყრილობაზე კი, როგორც აღვნიშნეთ, დელეგატების უმრავლესობა მშრომელთა ელემენტებისაგან შესდგებოდა, რასაც უწინ, მემარჯვენეებისაგან ერთად ყოფნის დროს მცირე ადგილი ჰქონდა დათმობილი.

ყრილობა გახსნა პარტიის ხელმძღვანელმა ამხ. ლლონტმა. მან მიმართა ყრილობას აერჩია პრეზიდიუმი, სეკრეტარიატი და სამანდატო კომისია, მასთან ხენებულ ყრილობის საპატიო თავმჯდომარენი. პრეზიდიუმში არჩეულ იქნა ერთხმად: ამხანაგები **თედო ღლონტი, მიხა ესაკია, იოსებ ბედევანიშვილი, მიხეილ გაგაშელი და ანტონ კვეზერელი. სეკრეტარიატში— მირიან ხეფერთელაძე, აკაკი სირაძე და ნადარეიშვილი. სამანდატო კომისიაში: გ. მუშიშვილი, ხერგო ელიავა და მიხეილ მეტრეველი.**

შემდეგ ამისა ყრილობის თავმჯდომარის წინადადების თანახმად დელეგატების მიერ არჩეულ იქნა საპატიო თავმჯდომარენი: ლენინი, ჯულაშვილი, ფ. მახარაძე, ცხაკაია მიხა, კაკულია მიხა, ი. ფანცხავა.

ყრილობის მიერ განსახილველი იყო შემდეგი საკითხები:

1) საერთაშორისო მდგომარეობა.
2) დამოკიდებულება კომპარტიასთან.
3) მოხსენება მთავარ კომიტეტის მოქმედების შესახებ.
4) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
5 მოხსენება ადგილებიდან.
6) მიმდინარე საკითხები.
და 7) არჩევნები.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს პარტიის მთავარ კომიტეტის წევრი ამხ. **სიმონ ხუნდაძე.** მან აღნიშნა რევოლიუციამდე არსებული ორი საწინააღმდეგო პოლიტიკა სოციალისტურ პარტიათა შორის პირველი—რეფორმისტულ-ოპორტიუნისტული მენშევიკებისა,—კაუცკის მეთაურობით და მეორე ამის დიამეტრალურად საწინააღმდეგო ფორმებში ჩამოყალიბებული პროგრამა ლენინის მეთაურობით. 9 წლის ისტორიამ დაამტკიცა, ამბობს მომხსენებელი, რომ ლენინის პროგნოზი ომისა და კაპიტალიზმის შესახებ სწორი გამოდგა. ლენინი 9 წლის წინეთ ამბობდა, რომ 1914 წ. იმპერიალისტური ომი დაშლის მსოფლიო მეურნეობას, შეჰქმნის ეკონომიურ კრიზისს, მოსპობს ერების დამოუკიდებლობას, გააძვალტყავებს მუშათა კლასს და რევოლიუციის ქარცეცხლში გახვევს მთელ მსოფლიოს. ყველა ზემოჩამოთვლილი დებულებათა განხორციელების მოწამენი შევიქენით და მართლაც იმპერიალისტურ ომების გამო მსოფლიო მეურნეობა აიწეწ-დაიწეწა, შეიქმნა ეკონომიური კრიზისი, მოისპო იმპერიალისტთა სამფლობელოში ერების დამოუკიდებლობა და გამწვავდა მათ შორის დამოკიდებულება, გაძვალტყავდა მუშათა კლასი და მსოფლიოს მაშტაბით რევოლიუციის ქარცეცხლის საკითხი ახლო მომავლის საქმეთაა გადაქცეული. მომხსენებელმა აღნიშნა ომამდე ევროპის სახელმწიფოების ორ კოალიციაში დარაზმის მიზეზები. ნათლად, გარკვევით, აღნუსხა პირველი კოალიციის, ინგლისის სახელმწიფოს მეთაურობით, მდგომარეობა. ხაზი გაუსვა გერმანიის მეთაურობით მეორე კოალიციის მისწრაფებათ. აღნიშნა ორივე სახელმწიფოთა მდგომარეობა, როგორც ეკონომიური ისე პოლიტიკური. ხაზ გასმით აღნიშნა გერმანიის ეხლანდელი კრიზისები და რევოლიუციონური მდგომარეობა. შეეხო ანტანტის სახელმწიფოთა ურთიერთობას და იმ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდენ ინგლის-საფრანგეთ—რუსეთ-იაპონია ურთიერთ შორის და დაასკვნა, რომ ხსენებულ სახელმწიფოთა შორის მწვავე მდგომარეობის შექმნის მიზეზები არიან უმთავრესად ეკონომიური ფაქტორები.

ქვევით ამხ. სიმონ ხუნდაძემ განმარტა ორი, დიამეტრალურად მოწინააღმდეგე ორგანიზაციების ფაშიზმის და კომუნიზმის მთავარი დებულებანი შეეხო მათ განვითარების მიზეზებს და დასძინა, რომ ფაშიზმი, როგორც ეგეთი განადგურება სრულებით და მის ნანგრევებზე დამყარდება და გამტკიცდება საბჭოთა სისტემა, მშრომელთა დიქტატურა. მომხსენებელმა ვრცლად განმარტა მენშევიკური პარტიების სრული გაკოტრება თანამედროვე პირობებში და ის დიდი როლი, რომელსაც თამაშობს კომპარტია მთელს მსოფლიოში.

ამხ. სიმონ ხუნდაძის მოხსენების შესახებ სიტყვით გამოვიდა ამხ. გელოვანი.

ამხ. ხუნდაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ კომპარტიასთან დამოკიდებულების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **თედო ღლონტი.** ჩვენ და კომუნისტების ურთიერთშორი დამოკიდებულების საკითხის განხილვა მეტად სერიოზული საკითხია. აქტი, რომლის წინაშე ჩვენა ვდგევართ მოითხოვს მეტ დაკვირვებას, სიღრმეთ გადაჭრას, რადგან ჩვენ ვართ პასუხის მგებელნი როგორც რევოლიუციის, ისე მშრომელი მასების წინაშე.

ჩვენი გზა, განაგრძობს ამხ. თედო, იყო იმ თავითვე მიმართული საერთო რევოლიუციისაკენ. ჩვენ ვერ დავემყარებით ვერც ლონდონს, ვერც პარიზს და ვერც ვაშინგტონს. ჩვენ უნდა ვწიოთ მოსკოვის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგები და ენერგიის მინიმუმი უნდა დავხარჯოთ ამ ლოზუნგების გასანაღდებლად, რათა სოციალიზმის დამყარება და გამტკიცებაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ.

შემდეგ ამხ. თედომ აღნიშნა, რომ ჩვენ, როგორც პატარა, ჩაგრულ ერის შვილებს არ შეგვიძლია მემარჯვენეთა ელემენტების პოლიტიკას დავეყრდნოთ, არამედ ერისა და მშრომელი ხალხის სახსნელად მარცხნივ უნდა წავიდეთ. ამჟამად საბჭოთა რესპუბლიკების ირგვლივ შექმნილია მეტად სერიოზული მდგომარეობა. ჩვენთვის ამ ხანად საჭიროა ამოძრავება მთელი ჩვენი ენერგიის და გამოყენება იმ ცოცხალი ძალების, რომლებიც ჩვენს განკარგულებაში იმყოფებიან. ძალები კი, როგორც ამტკიცებს ეს გაჭედილი დარბაზი საკმაო გვყავს, საჭიროა მხოლოდ მათი სათანადოთ ამოძრავება, რევოლიუციისათვის გამოყენება.

ამას კი შევძლებთ მაშინ, როცა ჩვენი ძალები კომპარტიის რიგებში გადაეშვებიან და მის მწკრივებს გაამაგრებენ რევოლიუციისადმი კეთილი და გულწრფელ სამსახურით.

შემდეგ ამხ. თედო შეეხო ს. ფ. პარტიის წარსულს. ხაზი გაუსვა მის ჭრელ შემადგენლობას და დასძინა, რომ მემარცხ. სოც. ფედერ. პარტია არა საიმედო პიროვნებებისაგან გაიწმინდა, იგი გაჯანსაღდა. მისი შემადგენლობა ამ ჟამად სავსებით პროლეტარულია, რაც ზემოხსენებულ დებულებას, პარტიის სისაღეს, ხელს უწყობს.

ამხ. თედომ დასახა ერთიანობა მემარცხენე სოც. ფედერ. პარტიისა და კომუნისტებ შორის ეროვნულ სოციალიზმის და გარდამავალ მომენტის გაგების საკითხებში. აღნუსხა კომუნისტების პრაქტიკული ნაბიჯების მნიშვნელობის ეტაპები და დაასკვნა, რომ ჩვენ და კომუნისტების გაერთიანება არამც თუ შესაძლებელია, არამედ უკვე მომწიფებულია აქვე უნდა ავღნიშნო, ამბობს ამხ. თედო, რომ გაერთიანება ჩვენი კომუნისტებთან ხდება არა ზევიდან, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ ქვევიდან, ხალხის, ჩვენი პარტიის წევრების სურვილის თანახმად. ყოველგვარი ცვლილება ჩვენს მიერ არ იქნება მოხდენილი ნაჩქარებათ თუ მას არ იზიარებს ხალხის (პარტიის წევრების) უმრავლესობა. ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ პარტიის წევრების სულიერ განწყობილებას და ამ ჟამად ასეც ვიქცევით. ჩვენ ჩვენი ძალებით შეუერთდებით კომპარტიას, მაგრამ ჩვენს წარსულს ჯვარს არ დაუსვამთ. ჩვენი იდეები, რომლის ირგვლივ დღემდე ვტრიალებდით და რომლებიც ხორციელდება არა ჩვენს მიერ, არამედ კომპარტიისაგან არ იქნებიან დავიწყებული და მუდამ ვემსახურებით მათ, რასაკვირველია, იმ სახით, როგორც ამას მოითხოვს მშრომელთა მასები და თვით სოციალიზმის იდეები.

ამ გაერთიანებას, დასძენს ამხ. თედო, ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი მემ. სოც. ფედ. პარტიის წევრებმა, რადგან რევოლიუციონურ ძალას უკვე დაუპირდაპირდა რეაქციონური ძალა. რამდენათ წინ მივდივართ იმდენათ მდგომარეობა რთულდება, როგორც ევროპის სახელმწიფოების ისე საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის მიერ გადმოსროლილ ანკესზე რუსეთი არასოდეს არ წამოეგება. რუსეთი ეძებს მომენტს და უყურადღებოდ სტოვებს ჯერჯერობით იმ საზიზღარ მოქმედებას, რომლებსაც ადგილი ჰქონდა, ახლო წარსულში, ევროპის სახელმწიფოთა მიწა წყალზე რუსეთის წარმომადგენლების მოკვლის სახით, როგორც ეს მოხდა ლოზანაში, პოლონეთში, ფილიანდიაში და სხვა. საბჭოთა რუსეთი, ამბობს ამხ. თედო, იტანს ყოველგვარ დამცირებას და ამაოდ სცდილობს ევროპა ჩაითრიოს იგი ომის ქარ-ცეცხლში. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ომის შესაძლებლობა თავიდან ავიცდინოთ. იგი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის აუცილებელია და სწოროთ ამისათვის საჭიროა ცოცხალი ძალა, რომ ერთი გრძნობით და აზრით გამსჭვალულნი ხელი შეუწყოთ ევროპის სახელმწიფოებში რევოლიუციის ცეცხლის დანთებასა და აგუზგუზებას. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ერთი ხელის დაკვრით არ შეიძლება რევოლიუციის გამტკიცება. თქვენ უნდა გასახედოთ ის პროცესი, რომელიც მოხდა რუსეთში, რომ რევოლიუცია დაამყაროთ და განამტკიცოთ მსოფლიოს მაშტაბით.

ევროპის რევოლიუცია არ ყოფილა ამ რამოდენიმე თვის წინეთ, ეხლა კი მისი ცეცხლი ევროპის ყოველ კიდეს ედება და გადაბუგვას უპირებს მას. ამის მიზეზი ევროპის ეკონომიური ავადმყოფობაა, რომლის განკურნა ვერ შესძლო მისმა პოლიტიკამ. ფაქტებს საით მივყევართ? რეაქცია ვერ ახერხებს რევოლიუციის ტალღების მოსპობას. მას ის სიმკაცრე აღარ აბადია, რომელიც უწინ ჰქონდა მინიჭებული. იგი, რეაქცია, ძალიან სუსტდება და მას ეშინია არსებულ მდგომარეობის მუშათა კლასის მოძრაობის. და აი ამ დროს ჩვენ რევოლიუციის გზას უნდა გავყვეთ, მისკენ უნდა ვისწრაფოთ და ვინც მას გაექცევა ის, უეჭველია, ფაშიზმის მიმდევარია. სოციალიზმი არის ყოველი ერის თავისუფლების საფუძველი და ჩვენც მას უნდა ვემსახუროდ მთელი ჩვენი ენერგიით თუ გვინდა ერის თავისუფლება, მისი ბედნიერება ძოვიპოვოთ.

ევროპა, ამბობს ამხ. თედო, მოწყვდეულია ჩიხში. მას მოსწყდა ეკონომიური ძალა და ევროპას იხსნის მხოლოდ გაძვალტყავებული მუშათა კლასი. ამ უკანასკნელმა უნდა შექმნის თავისი ეკონომიკა და თავისი ძალა უფლება განამტკიცოს. შესძლებს კი ამას მშრომელთა კლასი? დიახ შესძლებს მაშინ, როცა კაპიტალს იგი სამუდამოთ მიწაზე განართხავს და მის ნანგრევებზე თავის ძლევა მოსილებას აღმართავს. რა დააჩქარებს ამ პროცესს? რევოლიუციონური რიგების გამრავლება და გამტკიცება და ერთ მტკიცე, რკინის დისციპლინის ქვეშ დარაზმვა. აქ კი გვმართებს და ჩვენი ვალია, მთელი ჩვენი ძალებით კომუნისტებთან გავერთიანდეთ და როგორც რევოლიუციონერები მათთან შევდუღდეთ სოციალიზმის იდეების განსახორციელებლად და გასამტკიცებლად მომავალში. სოციალიზმის სამსახურისთვის უკუვაგდოთ ყოველგვარი პარტიული ჟინიანობა, დავივიწყოთ ტრადიციები და ერთად კომპარტიასთან შედუღებულნი მედგრათ ვატაროთ სოციალიზმის და ბრძოლის სიმბოლო წითელი დროშა, სანამ არ დამკვიდრდება მშრომელთა დიქტატურა, სანამ არ დაემხობა ძირს კაპიტალი.

ამხ. თედოს მოხსენების შემდეგ იმართება კამათი. პირველ სიტყვას ამბობს ამხ. სიმონ ჭეიშვილი, რომელსაც დღევანდელ მომენტში არ მიაჩნია

მიზანშეწონილად გაერთიანებისაკენ გადადგმული ნაბიჯი.

ამხ. გ. მუშიშვილმა თავის შინაარსიან სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ ეროვნული მომენტი ყოველთვის ეყრდნობოდა ეკონომიურ მომენტებს და პირველის სიძლიერე დამოკიდებულია ამ უკანასკნელის სიძლიერეზე. გარეშე ეკონომიურ სიძლიერისა, აღნიშნავს ამხ. გ. მუშიშვილი, ეროვნული დამოუკიდებლობა ბუტაფორიაა. ამ თვალსაზრისით ზომავს იგი საქართველოს საკითხს და მშრომელთა კლასის განთავისუფლებას კაპიტალიზმის ბრჭყალებისაგან.

შემდეგ ამისა გამოდიან მთელი რიგი ორატორებისა. ამხ. **ნოდია** (ფოთი), დადიანი (ზუგდიდი), გავაშელი მიხ. (ქუთაისი), მირ. სეფერთელაძე (გურია), სერ. ამაღლობელი (მთავარი კომიტეტი), კ. ბაქრაძე (1 რაიკომი) და **ხუნწარია** აკაკი (სენაკი), რომლებიც კომპარტიასთან გაერთიანების საკითხს მხარს უჭერენ და იცავენ მის აუცილებლობას.

ამხ. თედოს საპასუხო სიტყვის შემდეგ წაკითხულ იქმნა რეზოლიუცია, რომელიც ერთხმად იქმნა მიღებული. უდროობის გამო კრება გადადებულ იქნა მეორე დღისათვის.

**მეორე სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ი. გედევანიშვილი.**

სხდომა დაიწყო დილის 11 საათზე.

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. მუშიშვილი.

მოხსენებიდან ირკვევა შემდეგი: ყრილობას დაესწრო გადამწყვეტი ხმით 55 დელეგატი, წარმომადგენელი შემდეგი ორგანიზაციების.

**ზუგდიდის მაზრიდან**—ქ. ზუგდიდის, დიდი ნეძის, წალენჯიხის, ოტომაიას, კოკის, ჭკადუაშის.

**სენაკის მაზრიდან**—ისულის, ქ. სენაკის, ძონძირის, თეკლათის, ნოსირის, ძვ. სენაკის, ნაოლაღევის, ბანძის, ონტოფოს, თამოკონის, სეფიეთის, დ. აბაშის, საგვაზავოს და ფოცხოს.

**ქუთაისის მაზრიდან:** ქ. ქუთაისის, ბაღდათის რაიონის, ქ. სამტრედიის და სამტრედიის რაიონის.

**შორაპნის მაზრიდან:** შორაპანის, ხორაგოულის, მოლითის.

**ოზურგეთის მაზრიდან:** ქ. ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ასკანის.

**ბათომიდან**—ქ. ბათომის.

**სიღნაღის მაზრიდან:** სიღნაღის, კახათის კაკაბეთის.

**ტფილისის მაზრიდან:** საგარეჯოს.

**ტფილისიდან:** ქალაქის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე რაიონული ორგანიზაციების და სტუდენტთა ორგანიზაციის.

**პროფესია:** ქალაქისა და სოფლის მუშა—29, საბჭოთა მოსამსახურე—18; სტუდენტი—8; სულ 55.

**წოდებრივი მდგომარეობა:** ყოფილი გლეხი—39; ყოფილი აზნაური—14, ყოფილი თავადი—1, ყოფილი სასულიეროწოდების—1.

**განათლება:** წ. კ. არ მცოდნე—0, წ. კ. მცოდნე—9, დაბალი—20, საშუალო—19, უმაღლესი 7.

**ოჯახური მდგომარეობა:** ცოლიანი—38, უცოლო 17.

**პარტიული სტაჟი:** მუშაობდა სოც.-ფედ. პარტიაში: 1905 წლიდან—9; 1907-დან—1. 1920-დან—1, 1911-დან—1. 1913-დან—2, 1914-დან—3, 1915-დან—2, 1916-დან—2, 1917-დან—6, 1918-დან—6, 1919 დან—1, 1920-დან—1.

**მუშაობდა მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიაში:** 1921 წლიდან—52, 1922 წლიდან—3, 1923—0.

**წლოვანება:** 20 წლიდან—25-მდე—13, 25 წლიდან—35-მდე—21, 35 წლიდან 50-მდე—17, 50 წ. ზევით—4.

მოხსენება იქნა მოწონებული და ამხ. მომხსენებლის მიერ წამოყენებული შეხედულებანი ერთხმად დადასტურებულია.

სამანდატო კომისიის მოხსენებას შემდეგ მოხსენებით გამოვიდა მთავარი კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. **პ. ჯანიშვილი,** რომელმაც გააცნო ყრილობას კომიტეტის ორი წლის მოღვაწეობა და პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა მთელს საქართველოში. ყრილობამ ერთხმად მიიღო წინადადება მთავარ კომიტეტის მოღვაწეობის მიზნების შესახებ.

სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. პ. **კვირკელიამ.**

ამის შემდეგ წაკითხული იქმნა რეზოლიუციები საერთაშორისო -მდგომარეობისა და კომპარტიასთან დამოკიდებულების შესახებ, რომელიც მიღებული იქმნა ერთხმად.

რეზოლიუციას მოვათავსებთ ხვალის ნომერში.

**მისასალმებელი დეპეშა**

ყრილობამ მიიღო მოსკოველ ამხანაგებისაგან შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

მივესალმებით რა ყრილობას, უცხადებთ ჩვენს სოლიდარობას ამხანაგებს, რომელთაც გადასწყვიტეს ჩადგნენ კომპარტიის რიგებში. მთლიანი ფრონტი დაამარცხებს კაცობრიობის უდიდეს მტერს—კაპიტალიზმს.

**მოსკოველი ამხანაგები.**

## პროლეტარული რევოლიუცია

თებერვალ-მარტის რევოლიუცია მიმდინარეობდა ბურჟუაზიულ რევოლიუციის ლოზუნგების კლასთა შორის დაძმობილების დროშის ქვეშ.

თებერვლის რევოლიუცია—შემთანხმებელ „სოციალისტების“ მენშევიკების, ესერების და სხვების პოლიტიკის გამო, რომლებიც ბურჟუაზიასთან ხელიხელ ჩაკიდებული მიემართებოდენ, გადაექცია წმინდა ბურჟუაზიულ რევოლიუციათ. მაგრამ მუშათა კლასმა შექმნა რა თვისი რევოლიუციონური ორგანიზაციები—მუშათა დებუტატების საბჭოები, რომელსაც მხარს უჭერდა ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭო, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა შემთანხმებლები.

მუშათა და გლეხთა საბჭოების წინაშე თავიდანვე წარმოიშვა საკითხი, რომელიც გარკვეულ პასუხს მოითხოვდა: ან ბურჟუაზიასთან ერთად ან არსებულ წყობილების დამარცხება თავგანწირულ ბრძოლით, სოციალიზმის გამარჯვება, რომელიც იქნებოდა დამგლეჯი იმპერიალისტურ ომის რგოლის და გამფართოებელი, დამაკმაყოფილებელი მუშათა და გლეხთა მთლიანი ინტერესები.

პლეხანოვის სიტყვები „რუსეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს ან როგორც მუშური რევოლიუცია ან სრულიად ვერ გაიმარჯვებს“-ო. სწორი გამოდგა. და ბოლშევიკებმაც ასე დასვეს საკითხი: უნდა გავიმარჯვოთ, გადავსცეთ მთელი ძალა-უფლება მშრომელ ხალხს—პროლეტარიატს და განვამტკიცოთ ახალი სოციალური ურთიერთობათ.

ბოლშევიკების პოლიტიკამ და ბრძოლამ ჰპოვა თვისი გამოხატულება ოქტომბრის რევოლიუციაში; დღიდან ოქტომბრის რევოლიუციისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროლეტარიატის ავანგარდი კომუნისტური პარტია და მისი ბელადი: ლენინი, ტროცკი და სხვები შეიქმნა მმართველი მთელი სახელმწიფო აპარატის და დაუწყო სასტიკი ბრძოლა ყველა მათ, რომლებიც მუშათა ხელისუფლებას სიტყვით, პროპაგანდით ან და საქმით ხელს უშლიდენ. ოქტომბრის რევოლიუცია ეს მრავალი და ასეული მშრომელის სისხლით არის მოპოვებული.

მის არსებობას რამოდენიმე კვირის ხნით ამართლებდენ ყოფილი ხელისუფალნი და ყოველ დღე მოელოდნენ მის დამარცხებას.

ცნობილი მენშევიკი ევგენი გეგეჭკორი და კომპანია, რომლებიც ალექსეევს მოუწოდებდენ, რათა ერთ წერტილში ერტყათ საერთო მტრისათვის (ე. ი. ბოლშევიკებისათვის), სწორედ ასე უყურებდა ბოლშევიკების არსებობის საკითხს. მაგრამ ისტორიულ აუცილებლობით წარმოშობილ ოქტომბრის რევოლიუცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა გაწვრთნილი მუშათა კლასი, გამარჯვებით დამთავრდა, რის მაგალითს დღეს ჩვენ ექვსი წლის თავზე ნათლად ვხედავთ.

კითხვა იბადება რა მოუტანა მშრომელ კლასს და გლეხობას ოქტომბრის რევოლიუციამ?

თებერვლის რევოლიუციით მოლაყბეებმა ვერ შესძლეს მიეცათ რაიმე ქალაქის ან სოფლის მუშისათვის—მშრომელ კლასისათვის. ყოველივე მათი თვალთმაქცური დაპირებებს მხოლოდ დაპირების და მოტყუილების ხასიათი ჰქონდა, ოქტომბრის რევოლიუციამ კი დღიდან ხელისუფლების გამოცხადებისა გადასცა მთელი წარმოება ქალაქის მუშებს, მოახდინა რა სრული ნაციონალიზაცია წარმოებისა გადასცა მიწის მუშას მთელი მიწა, მებატონეთა სრა სასახლეები, მათ სრულ მფლობელობისა და განკარგულებაში. მთელი სახელმწიფო აპარატი საბჭოების სახით, გადაეცა მუშათა კლასს და გახდა ის მისი ბატონ-პატრონი. ყველა ყოფილ რუსეთის თვითმპყრობელობის დროს დაჩაგრულ ერებს, ოქტომბრის რევოლიუციამ გაუწოდა ხელი და მიანიჭა მათ ნაცვლად კერენსკი-წერეთლის ხიშტებისა სრული ეროვნული თავისუფლება—სრულ გამოყოფის უფლებამდე.

აი რა არის მისი გამარჯვებით დაბოლოების მიზეზი; აი, რატომ დარჩა და შეიქმნა ოქტომბრის რევოლიუცია ყველა ჩაგრულთა და დამცირებულთა მისწრაფების საგანი.

ოქტომბრის რევოლიუციის ხელმძღვანელმა კომუნისტურმა პარტიამ უკუ აგდო მენშევიკური დოგმატიური [illegible] მომენტის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს გაუწია რა ანგარიში, მათ შესძლეს მშრომელი კლასის მუშის და გლეხის სრული დაკმაყოფილება.

ოქტომბრის რევოლიუციამ აიღო რა წმინდა რევოლიუციონური შეუდრეკელი ბრძოლის ემბლემა წითელი დროშა—ხელში, მას უნდა ეკისრნა მსოფლიო რევოლიუციის ავანგარდობა და ევროპის პროლეტარიატის მეთაურობა, რისთვისაც მან სასტიკი სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა გამყიდველურ შემთანხმებელთა ინტერნაციონალს, მასში მოკალათებულ „სოციალისტებს“ და ამ სასტიკ ბრძოლის დროს წარმოიშვა მესამე ინტერნაციონალი, რომელიც შეიქმნა მუშათა მოძრაობის საერთაშორისო ოჯახი, ცენტრი მათი განმათავისუფლებელ ბრძოლისა. დღიდან თავისი არსებობისა მესამე ინტერნაციონალმა შესძლო დიდ მნიშვნელოვან ისტორიის დავალებათა შესრულება. შემოკრიბა მთელი მსოფლიოს საღად მოაზროვნე მშრომელი კლასი თავის გარშემო და აამოძრავა ისინი მსოფლიოს მცარცველთა წინაალმდეგ.

წინაალმდეგ მეორე ინტერნაციონალის შემთანხმებელ პოლიტიკისა, მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მთელ ბურჟუაზიულ სამყაროს და ამით ის ფაქტიურად შეიქმნა მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა მისწრაფებების გამომხმტველი.

აი ერთი თვალის მოვლებით შეკრებილი იმის ჯამი, თუ რა მისცა ოქტომბრის რევოლიუციამ მშრომელ ხალხს და საერთაშორისო მოძრაობას და თუ რა იყო მისი გამარჯვების საწინდარი.

და ჩვენ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები, რომლებიც ვიბრძვით აგრეთვე მშრომელ კლასის გასანთავისუფლებლად და მის დასახსნელად აუცილებლად მასთან უნდა ჩავმწკრივდეთ და შევავსოთ ის გრძელი მსოფლიოს განმანთავისუფლებელი არმია, რომელსაც რაზმავს ოქტომბრის რევოლიუციის ხელმძღვანელი და მსოფლიო მუშათა კლასის მეთაურნი.

ყველა ის პირი თუ პარტია რომელიც მოწადინებულია ემსახუროს რევოლიუციას და მის გამარჯვებისათვის იზრუნოს, უნდა დადგეს კომუნისტურ პარტიის რიგებში.

დღევანდელი რთული მომენტი ვერ ითმენს ძალთა დანაწალებას, რადგან მსოფლიოში მომქმედი ორი უმთავრესი ძალა ბოლშევიზმი და ფაშიზმი ერთმანეთს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ ამ ბრძოლის დროს მუაში მყოფნი აუცილებლად უმნიშვნელოდ შეეწირება, რის გამო ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვყოთ განცალკავებული დგომა, რითაც შევასრულებთ ისტორიის მიერ დაკისრებულ მოვალეობას მშრომელ კლასის წინაშე.

გაუმარჯოს წითელ ოქტომბრის რევოლიუციას რომელმაც გახსნა ახალი ეპოქა მსოფლიო რევოლიუციისათვის!

## დამარცხდება თუ არა „მოძრაობა“?

(საუბარი „ორჭოფ“ ხალხთან“).

**(ამხ. თედო ღლონტის პირველი ფელეტონი, დაბეჭდილი რეაქციის ხანაში 17 წლის წინად, 1906 წ. 8 აპრილს, ტფ. გაზეთ „ელვა“-ში. იბეჭდება სრულიად შეუცვლელად).**

ცხოვრებაში ეკონომიურ მატერიალურ ნიადაგის განვითარებით მთელი წეს-წყობილება შეინძრა. თუმცა ძველათ უფრო ბევრი იყო ომები მეფეთა შორის და სისხლიც ბევრი იღვრებოდა, მაგრამ ცხოვრებაში მანქანის და ტეხნიკის განვითარებით სულ ახალი ჯურის „ომები“ დაიწყო. 1764 წელს ინგლისში პირველად შემოღებულ იქნა ხელით სატრიალებელი მანქანა ხარგრივსის მიერ, შემდეგ მეორე სუფთა საქსოვი მანქანა 1767 წ. რიჩარდ ჰარკრაიტის მიერ. თუ აქამდე გლეხი სოფლად იკვებებოდა და იქვე სახლშივე ამზადებდა ბაზარში "გასაყიდ საქონელს, დღეს ეს ლუკმა ფაბრიკანტმა-მანქანამ წაართვა, აიძულა ის ბაზარზე გამოსულიყო და მანქანის ყურმოჭრილი მონა გამხდარიყო. მანქანები სულ უმჯობესდებოდა, სოფლები, რომლებიც მიყრუებულ კუნჭულებს წარმოადგენდა ქალაქებათ გადაიქცენ. ქარხანას ათასობით და ასი ათასობით ეხვეოდა მუშა ხალხი სამუშაოსათვის. გაჩაღდა მრეწველობა, ექსპლოატაცია, კონკურენცია, ომი ყველასი ყველას წინაალმდეგ.

პირველად ცხოვრებაში მანქანისა და ორთქლისაგან გამოწვეული სტიქიური რევოლიუცია ინგლისში მოხდა. შემდეგ ის ყოველგან მოედვა, ყოველგან მისი მოძღვრება და მცნება გაღვივდა. მუშა ხალხი, რომელიც მანქანამ ულუკმა-პუროდ დასტოვა და მათგან სულ ახალი „საზოგადოება“ შექმნა, ყოველივე საშუალებას ხმარობდა, რომ ქარხანა-ზავოდებში სამუშაო ეშოვნა **და თავის ოჯახი გამოეკვება.** ქარხნები გაივსო მუშებით, მაგრამ ქუჩაზედაც აუარებელი ხალხი დარჩა უსაქმოდ. მუშების გაჭირვება იქამდე მიდიოდა, რომ ისეთ ხელფასზედაც თანხმობას აცხადებდენ, რომლითაც მხოლოთ თავის დარჩენა შეეძლოთ, ე. ი. თანახმა იყვნენ სამუშაო ქირის უკანასკნელ მინიმუმზე. მუშა აღარ უყურებდა ცოლ-შვილს, მტერ-მოყვარეს. ცოლშვილი უპატრონოთ დარჩა, სამუშაო იმათაც აუცილებლათ დაჭირდათ და მათაც ქარხნების სამეფოსაკენ გასწიეს. რასაკვირველია ყველა ეს ქალები ერთბაშათ ვერ იშოვნიდნენ სამუშაოს და ამის გამო ერთად-ერთ საშუალებად პროსტიტუცია, სხეულის გაყიდვა, გარყვნილება ურჩევნიათ; ხშირად იმასაც ვერ ახერხებენ და პირდაპირ შიმშილით იხოცებიან. ეს ახალი „საზოგადოება“, რომელიც თავის სამუშაო ძალას გაყიდვით იკვებება, ეს, რომლის ოჯახიც საზიზღარ კაპიტალს უვარდება კლანჭებში, რომელიც ბირჟაზე ეძებს თავის გამყვლეფელს, არის **პროლეტარიატი.** შინაურმა ოჯახობამ, ხვნა თესვამ, შინა ხელებით ქსოვამ და მით მთელი ოჯახის გამოკვებამ გზა დაულოცა კაპიტალიზმის კანონებს, სოფელი ქალაქს დაუმორჩილა და გაანაწილა შრომა ყოველ ოჯახის წევრთა შორის ეს დიადი რევოლიუცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მან ახალი ხანა შექმნა, ახალი „საზოგადოება“ გამოჩეკა.

მანქანამ და ტეხნიკა ქიმიის განვითარებამ ცხოვრებაში, სტიქიური რევოლიუცია მოახდინა ხალხი ერთ ალაგას, ფაბრიკა-ზავოდებთან შეაგროვა და გააჩაღა „ბრძოლა“. გაჭირვებული ყოველივე ღონეს იღონებს, რომ აუცილებელი საჭიროება მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს. ის ყოველივე „პოლიტიკას“ ეწევა, და იბრძვის, რომ რამენაირად ქედი მოახრევინოს ფაბრიკანტს, რომელიც ყვლეფს მას, მისი გაჭირვებით ლხინობს მაგრამ ბურჟუა კაპიტალისტების წინაალმდეგ ბრძოლის დროს მას ხმალ-ამოწვდილი მხედარი უდგება წინ და ეუბნება: ხელი არ ახლო ხაზეინს, ის ხელუხლებელიაო. ეს მდიდარი მთავრობაა, რომელსაც ბიუროკრატია ეწოდება, **ახე და ამ გვარად ეკონომიური გაჭირვება პოლიტიკურ ბრძოლას ბადებს და ეს ბრძოლა, რომელიც გამომდინარეობს დაჩაგრული ხალხისაგან, არის რევოლიუციონური ბრძოლა.**

ამნაირ რევოლიუციებს ჩვენ ბევრს შევხდებით მსოფლიო ისტორიაში და ზოგიერთს აქაც მოვიხსენიებთ. ბევრს გონია, რომ გაჭირვებული მუშა ხალხი, რომელიც შეუიარაღებელია, რომელსაც თავისი მარჯვენის მეტი არაფერი გააჩნია, ვერაფერს დააკლებს ბიუროკრატიის გაწრთვნილ და შეიარაღებულ ჯარს, ვერაფერს დააკლებს მონარქიის ბატონობასო. რასაკვირველია, გიჟის მეტი არავინ იტყვის, რომ უიარაღო კაცი იარაღიანს მოერევა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ, როცა ჯარი თავისივე ხალხის წინაალმდეგ გაილაშქრებს, ისე დაუნდობლად არ იმოქმედებს, როგორც „მტრის“ წინაალმდეგ, ამის მაგალითს ჩვენ რუსეთიც გვიჩვენებს; და კიდეც რომ ჯარმა დაუნდობლად იმოქმედოს, უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო იარაღი არ კმარა რევოლიუციონურად აბობოქრებულ მასის შესამუსრავათ, რომელიც ამასთან არ შეიძლება, კოტათ თუ ბევრათ მაინც, შეიარაღებულიც არ იყოს, **საჭიროა კიდევ ტაქტიკა,** რომელსაც მთავრობა ვერასოდეს ვერ შეისწავლის, ამას ყველა რევოლიუციის მაგალითი გვიმტკიცებს. მთავრობა უტაქტიკობას ყოველგან იჩენს და ეს ამარცხებს მას. გავითვალისწინოთ ფაქტები. გავიხსენოთ 1648—9 წ. ინგლისის რევოლიუცია, აქ ხალხი მთავრობის გაწვრთნილ ჯარს ველად ეომებოდა, ბევრი სისხლი დაიღვარა, და აი ხალხის შეიარაღებულმა რევოლიუციონურმა რაზმმა კრომველის მეთაურობით, სიკვდილო ლახტი დაჰკრა ბიუროკრატიას. დიახ, აქ რევოლიუციამ გაიმარჯვა და სასტიკ შეიარაღებულ მეფეს კარლო სტიუარტს თავი მოკვეთა მოთმინებიდან გამოსულმა რევოლიუციონურმა მასამ. მეორე საყურადღებო რევოლიუცია ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაგვანახვა.

რამ გამოიწვია ამერიკის კოლონიების ხალხის რევოლიუციონური აჯანყება მთავრების მთავრობის წინაალმდეგ? ეს იყო 1771—8 წ. მაშინ ამერიკის კოლონიები ინგლისს და მის კანონებს ემორჩილებოდა. გიორგი მე—III—მეს (ინგლისის კაროლი იყო) სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამერიკის ფინანსიური მდგომარეობას და მისი მოწესრიგება ამერიკის შტატებში გადასახადების მომატებით მოინდომა. მაგრამ ამაზე კოლონიებმა პროტესტი განუცხადეს მთავრობას. ამის გამო მოხდა განხეთქილება, ამას სხვა შევიწროებაც დაემატა და გიორგიმ მოინდომა კოლონიების ძალით ჩაჩუმება და დამონავება. ხალხის მიზანი იყო გაჭირვებულ მდგომარეობიდან თავის დახწევა, ინგლისის მთავრობასა კი, მისი დაბეჩავება, გალატაკება; ერთის მხრივ იდგა „შეუიარაღებელი“ მასა, მეორე მხრივ კარგა გაწვრთნილი ჯარი, მაგრამ მონარქიის უტაქტიკობამ, წინდაუხედავათ მოქმედებამ, საქმე ხალხის სასარგებლოთ გადასწყვიტა. საფრანგეთის მონარქიამ, რომელსაც იმ დროს მტრული განწყობილება ქონდა ინგლისთან, დიდი დახმარება აღმოუჩინა ამერიკის კოლონიებს და მისი შემწეობით გიორგი დამარცხებული იქნა. გაიმარჯვა ხალხმა და გახდა დამოუკიდებელი, დაამყარეს რესპუბლიკა. საფრანგეთში მონარქიზმით შევიწროებულ ხალხს მოთმინება გამოელია. ხალხი ამოძრავდა, ნორჩი ბურჟუაზია, რომელიც ის იყო ფეხს იკიდებდა, მონაწილეობას იღებდა სხვა და სხვა კონსტიტუციონურ მოთხოვნაში, რასაკვირველია თავის ინტერესების მიხედვით. ლიუდოვიკ XVI—მ ამ ამოძრავებულ ხალხის ძველ კალაპოტში ჩაყენება რეფორმებით და მოწყალებით მოინდომა, მოიწვია ეტაჟებიანი ბურჟუაზიული პარლამენტი. მეფემ კომპრომისი დაიწყო, ხალხის რევოლიუციონური მოძრაობა უმაღლეს წერტილამდე ავიდა, ლიუდოვიკმა მოიწვია „ხალხის“ წარმომადგენელი, გენერალური შტატები და მისი შემწეობით რეფორმების შემოღება მოინდომა. ხალხი გენერალურ შტატებით არ კმაყოფილდებოდა. მეფე დარწმუნდა, რომ ხალხის მოთხოვნილება ძალიან შორს მიდის და ის აშკარათ გადადგა ბურჟუაზიის მხარეზე. ხალხმა მეფე მტრათ გამოაცხადა და ეს აღელვებული ზღვა მთელი საფრანგეთის ხალხისა გაექანა ვერსალისაკენ... შეშინებული ლიუდოვიკი თანახმა შემოიღოს საყოველთაო საარჩევნო უფლება (1789 წ.) მოისპო რა ყოველივე ბუნაგი ბიუროკრატიულ მონარქიულ წყობილებისა, ხალხი შეუდგა რევოლიუციით მოპოვებულ უფლებათა განხორციელებას. რევოლიუციის ქარიშხალი გერმანიის საზღვრებში შეიჭრა და ამის გამო გერმანიის იმპერატორმა ომი გამოუცხადა საფრანგეთის რესპუბლიკას. ხალხი [illegible] გონებელში ჩავარდა, დაიწყო ტერორი, გილიოტინა, ერთი სიტყვით გამეფდა ანარქია, ამ დროს მოვიდა მაროკოს საქმეში გამარჯვებული კონსული ნაპოლეონ ბონაპარტი და ხელთ იგდო მთელი მართვა-გამგეობა. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სხვა ქვეყნების დაპყრობას და იმ დრო[illegible]ბით ხალხის რევოლიუციონური სისხლით მოპოვებული უფლებანი ხელუხლებათ დატოვა. მან ძალიან ადვილათ დაიპყრო ისპანია, გაანადგურა ავსტრია, პრუსია და სხვა. ამ გენიოსმა დესპოტმა მოინდომა მთელი ქვეყნის დაპყრობა და გამარ[illegible] „აღმოსავლეთ დევის“ (რუსეთი) დასაპყრობათ, მაგრამ ის აქ დამარცხდა და ევროპის კოალიციამ ის ტახტიდან ჩამოაგდო. კოალიციამ გაამეფა ბურბონები. პრუსიამ სული მოითქვა...

ევროპაში ამ მოძრაობის შემდეგ ძალიან განვითარდა უმთავრესი ფაქტორი ყოველივე წინსვლის და ცივილიზაციის—მრეწველობა. საფრანგეთში, პრუსიაში, ავსტრიაში და ევროპა ამერიკის თით[illegible] მის ყოველ კუთხეში ფესვი გაიდგა კაპიტ[illegible]

გაუმარჯოს საბოლოოდ განთავისუფლებულ საბჭოთა საქართველოს გამყიდველურ მენშევიკებისაგან!

გაუმარჯოს ჩვენს რიგებს, რომელიც ამ დიდ ისტორიულ დღეს შეუერთდება წითელ არმიის მწკრივებს!

გ. ახათიანი.

# პრესის მიმოხილვა

## „მეშვიდე წელი“

მოსკოვის გაზეთ „პრავდაში“ ამხ. ტროცკი ამ სათაურით სწერს:

„ამ მეშვიდე წელს ოქტომბრის შემდეგ გადაწყდება ევროპის ბედი. მე-14 წლიდან ევროპა შევიდა დაქცევისა და თვითნგრევის პერიოდში. ევროპა იქცევა, ინგრევა და სისხლიდან იცლება. გერმანეთის კაპიტალისტები ნაწილ-ნაწილ ჰგლეჯენ გერმანეთს საფრანგეთის ოქროსა და ხიშტების დახმარებით. გერმანეთის ნაციონალიზმის გამარჯვებას უეჭველად მოჰყვება გერმანეთის დანაწილება, გაყიდვა, დალუპვა და გახრწნა. ამასთანავე განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწევდა საფრანგეთის ეკონომიური და პოლიტიკური სამხედრო დიქტატურა ევროპაზედ. 39 მილიონიან საფრანგეთის ხალხს ამით დააწვებოდა დიდი სიმძიმე,

ამ ექვსი წლის წინად რუსეთის ახალგაზრდა პროლეტარიატმა თავისი გაბედული ნაბიჯით ევროპის პროლეტარიატს დაანახვა გამოსავალი გზა. ეს გზა, თუმცა უფრო ძნელი, ვიდრე ელოდნენ, გამოდგა ერთად ერთი სწორე გზა, რასაც ამტკიცებს ეხლანდელი გერმანეთის ამბები... (გამოტოვებულია) ... „ნეპი“ შეიძლებოდა ქცეულიყო ისტორიული გზიდან გადახვევად, მაგრამ ეხლა ნეპი მხოლოდ ისტორიული ეპიზოდია, პატარა მიხვეულ-მოხვეულობაა მხოლო იმ გზაზედ, რომელსაც მივყევართ ბურჟუაზიულ წესწყობილების სრულ ლიკვიდაციამდე.

რევოლიუციონური ხანის მეშვიდე წელი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აყენებს ძალა-უფლებისათვის ბრძოლის საკითხს გერმანეთში. ეს არის ამოცანა რევოლიუციონურ-პოლიტიკური და ამავე დროს რევოლიუციონურ-სამხედრო, რევოლიუციონურ-პოლიტიკური ამოცანა მდგომარეობს მასში, რომ მასებმა იგრძნონ თავისი კლასიური მთლიანობა ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლაში. პროლეტარული მთლიანობის შეკავშირება ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილში ჰნიშნავს წინასწარი აუცილებელი პირობის შექმნას სამხედრო-რევოლიუციონურ ამოცანის შესასრულებლად ფაშისტური დიქტატურის ჩამოსაგდებად და სახელმწიფო აპარატის ხელში ჩასაგდებად. ეს ერთად ერთი გზაა გერმანეთისა და საერთოდ ევროპის ხსნისთვის.

ჩვენ არ ვისახავთ არავითარ ილიუზიებს ამ გზის სიადვილის შესახებ, ეს გზა მეტად საშიში და ძნელი იქნება, იგი მეტად დიდ მსხვერპლს მოითხოვს. სამოქალაქო ომის დროს, რომელსაც გერმანეთის ბურჟუაზია, საფრანგეთის ბურჟუაზიასთან შეთანხმებით, სცდილობს საშიშარი და გამანადგურებელი ხასიათი მისცეს, შესაძლებელია სისხლის მღვრელი შეტაკებანი დაიწყოს გერმანეთის საზღვრებს იქითაც. ოქტომბრის შემდეგ მეშვიდე წელი იბადება მრისხანე ძახილით; საბჭოთა კავშირი—მშრომელთა ერთად-ერთი ციხე-სიმაგრე—ამ წელს უნდა იყოს უფრო ძლიერი, უფრო მაგარი, უფრო შეკავშირებული, უფრო მტკიცე და უკეთესად შეიარაღებული, ვიდრე იყო როდისმე, რათა მტკიცედ დაუხვდეს ყოველივე გასაჭირს, რომელიც შეიძლება მომავალმა მოუტანოს მას.

მეშვიდე წელი, ბიბლიურ გადმოცემის მე-7 დღის საწინააღმდეგოდ, არ იქნება დასვენების წელიწადი. იგი იქნება წელი დიდი და ვნებიანი ბრძოლისა, დიდი გმირობისა და უთვალავ მსხვერპლისა გამარჯვებისაკენ მიმავალ გზაზედ. ასეთ წელს მივესალმებით ჩვენ“.

**„ოქტომბრის რევოლიუცია და საშუალო ფენების საკითხი“ —ამხ. სტალინის წერილი**

„საშუალო ფენების საკითხი—მუშათა რევოლიუციის ერთა ძირითადი საკითხთაგანია. საშუალო ფენები—ეს არის გლეხობა, ქალაქის მშრომელი მცხოვრებნი და დაჩაგრული ერები, რომელნიც 9 „მეათედი საშუალო ფენებისაგან შესდგებიან. პროლეტარიატს არ შეუძლიან შეინარჩუნოს ძალაუფლება. თუ არ ექნება საშუალო ფენებისა—და უმრავლესად გლეხობის—თანაგრძნობა“. ამხ. სტალინი ასახელებს საფრანგეთის რევოლიუციის. პარიზის კომუნის, რუსეთის 1905 წ. რევოლიუციის და უკანასკნელად ოქტომბრის რევოლიუციის მაგალითებს. „უკანასკნელი წარმოადგენდა გლეხური ომისა და პროლეტარული რევოლიუციის საბედნიერო შეერთებას, რაზედაც სწერდა მარკო, ოქტომბრის რევოლიუცია პირველ მთელს ქვეყანაზედ, რომელმაც წამოაყენა საშუალო ფენების, და შესაფერისად გადასწყვიტა კიდეც იგი.

ოქტომბრის რევოლიუციამ პროლეტარიატის ბრძოლის საქმეს გაუჩინა დიდ რეზერვი ხალხის მასებში, მან პირველმა აიღო ხელში დროშა ამ რეზერვების შესაძენად, ამაშია ამ რევოლიუციის მეორე დამსახურება.

ოქტომბრის რევოლიუციამ გზა გაუკვლია სოციალიზმის იდეებს სხვა და სხვა ეროვნებისა და ტომის საშუალო, არა პროლეტარულ და გლეხთა წრეებში. სოციალიზმის დროშა მან მათთვის პოპულიარულ დროშად გადააქცია. ამაშია ოქტომბრის რევოლიუციის მესამე დამსახურება.“

**„იმათი და ჩვენი წლის თავი“.**

ამხ. სტეკლოვის წერილი.

„საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს სიხარულით შეუძლიანთ შეხვდნენ თვისი რევოლიუციის მე 6 წლის თავს და სიამაყით გადაჰხედონ განვლილ გზას. რესპუბლიკის შინაური მდგომარეობა მტკიცეა. არა ნაკლებ მტკიცეა საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენი მშვიდობიანი ალმშენებლობისა და ახალი ეკონომიური პოლიტიკის შედეგები ნათლად გვიჩვენებენ, რომ პროლეტარიატმა შესძლო საკმარისად აღედგინა რესპუბლიკის მეურნეობა და ჩაეყარა ახალი ეკონომიური წესწყობილების საფუძვლები, მთელი გამგებლობის მუშათა კლასის ხელში შენარჩუნებით.

ჩვენ მიერ მიღწეული შედეგები უფრო ნათელი ხდებიან ჩვენი მდგომარეობის სხვა, კაპიტალისტურ ქვეყნების მშრომელთა მდგომარეობასთან შედარებით. არა მარტო გერმანეთში, არამედ გამარჯვებულ, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშიაც მუშათა კლასის მდგომარეობას ახასიათებს მონობა, ჩაგვრა, უმუშევრობა, რეაქციის ბატონობა და მუდმივი საშიშროება ომისა. პროლეტარიატი მოტყუებული გამოდგა. წამოდგა ახალი სასტიკი მტერი, ფაშიზმის სახით.

გერმანეთშიაც დგება 1918 წ. რევოლიუციის წლისთავი—მეხუთე, მაგრამ რა განსხვავებაა! გერმანეთის მუშები მას მოტყუებული კლასის მწარე ღიმილით ჰხვდებიან. ჩვენ ყოველივე სიძნელე და სიმძიმე უკან დაგვირჩა, იმათ კი ყოველივე ეს ჯერ წინა აქვთ. ჩვენი პროლეტარიატი იტანჯებოდა და ნაწილობრივად ახლაც იტანჯება პროლეტარული რევოლიუციისათვის.

გერმანეთის პროლეტარიატი კი იტანჯება ბურჟუაზიისათვის. თუ მოგვიხდა ომი, ჩვენი მშრომელი ხალხი იომებს თავისი მიწისა და თავისუფლების დასაცავად, თავისი ხელისუფლების და აყვავებისათვის. გერმანეთისა, საფრანგეთისა, ჩეხიისა და პოლონეთის მუშებმა კი, თუ ისინი ბურჟუაზიამ ომში გარეკა, სისხლი უნდა დაღვარონ სხვისა საქმისათვის, უნდა დაიღუპნენ არათავისუფლების, არამედ ბორკილების შესანარჩუნებლად.

დასავლეთ ევროპის მუშებს არ შეუძლიანთ თავის რევოლიუციის წლისთავის [illegible] მათ ჯერ შეჰქმნან ეს რევოლიუცია. ამისათვის ისინი ცერ-ჯერობით ჩვენს, რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციას დღესასწაულობენ, ვიდრე შესაძლებლობა მიეცემათ, თავისი საკუთარი პროლეტარული რევოლიუციის წლისთავის დღესასწაულისა. ეტყობა, ეს ბედი პირველ რიგში გერმანეთის პროლეტარიატს ხვდება. თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის თვალის გადავლება გვიჩვენებს, რომ საბჭოთა რესპუბლიკისათვის შესაძლებელია საშიშროება.

საერთაშორისო ხლართს შეუძლიან თავის ორბიტაში მოაქციოს საბჭოთა ფედერაცია, მიუხედავად მისი სურვილისა დაიცვას მშვიდობიანობა. თუ ბედი გვიქადის ამ არა სასურველ მომავალს, ჩვენ მზადა ვართ მხნედ და უშიშრად შევხვდეთ მას. ჩვენ მტკიცედა გვწამს, რომ იმ მონაპოვართა, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ მცირე შესვენების დროს, ჩვენ უფრო გაგვამაგრა და ჩვენ შევძლებთ მხნედ გადავიტანოთ ყოველგვარი სიძნელე, რომელსაც კი გამოგვიგზავნის ისტორია“.

---

ლიზმმა. ყველგან აღორძინდა ახალი „საზოგადოება“, პროლეტარიატი. მეცნიერების განვითარება სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ, სწავლულნი ახალ მეცნიერულ-მატერიალისტურ თეორიას აღმერთებდენ, ხოლო ძველ „მეცნიერულ-ფილოსოფიურ დოქტრინას კი აძაგებენ. პროლეტარიატმა სასტიკი ომი გამოუცხადა „თვითმპყრობელ-ბიუროკრატიას“, როგორც მტერს ყოველივე განვითარებისას და ხალხის კეთილდღეობისას. პროლეტარიატი დაიძრა და აი საფრანგეთი კიდევ განიცდის „კატასტროფას“, რევოლიუციას.

ამ რევოლიუციამ აღაფრთოვანა სხვა ქვეყნების პროლეტარიატი. შეირყა გერმანიის გაცივებული მთავრობა, რომელიც ფიქრადაც არ გაივლებდა ლიბერალურ-კონსტიტუციონურ წეს-წყობილებას. დღეს როგორც პარიზის პროლეტარიატმა ლიუფილიპე ჩამოაგდო და როგორც-კი გერმანიის ხალხიც რევოლიუციონურათ აზვირთდა, გერმანიის თვითმპყრობელობამ, ძლიერმა და უკადრისმა, ხალხს ამ გვარად ციებ-ცხელებით გამოუცხადა: „მეფეს სურს ბეჭდვის თავისუფლება, მეფეს სურს ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა, მეფეს სურს ლიბერალური წყობილება, მეფეს სურს მთელი გერმანიის ხალხის ერთობა“. აი რა არის შედეგი გერმანიის ხალხის გამარჯვებისა 1848 წ. დღეს ჩვენ თვალწინ ამნაირი სურათია: ამერიკაში რესპუბლიკა, საფრანგეთში რესპუბლიკა, ინგლისში დემოკრატიული კონსტიტუცია, გერმანიაში მონარქიული კონსტიტუცია, ავსტრია ძირიანათ შეარყია რუსეთის რევოლიუციამ, რუსეთი კი რევოლიუციის ცეცხლშია გახვეული. არის დღეს ევროპა-ამერიკაში მონარქიულ აბსოლუტურ-ბიუროკრატიზმი? არსად, როგორც ხედავთ რევოლიუციას ყველგან გაუმარჯვნია. თუ ყურადღებას არ მიაქცევთ მსოფლიო ისტორიას, ქვეყნის მაგალითებს, აუარებელ ფაქტებს, რომ პროლეტარიატი გაიმარჯვებს, თვით რუსეთის რევოლიუციას მაინც ჩაუკვირდით, გაიგეთ მისი მიზეზები და დარწმუნდებით, რომ რუსეთის რევოლიუციაც იმავ კანონებს ემორჩილება, რასაც სხვა ქვეყნები დამორჩილებია და, მაშასადამე, ისიც გაიმარჯვებს. რუსეთშიაც, ისე როგორც სხვა რევოლიუციების დროს ევროპაში პროლეტარიატი იბრძვის და მერე როგორი პროლეტარიატი? გაცილებით უფრო შეგნებული. რუსეთის ცხოვრებაშიაც იგივე და იმნაირივე მანქანები ახდენენ სტიქიურ რევოლიუციას, რანაირსაც ახდენდა და ახდენს სხვა ქვეყნებშიაც. მაგრამ, შენ „ორპოფის“ ხალხო, შეიძლება მაინც კიდევ ვერ ირწმუნო, თუ რა რიგათ შესძლებს „შეუიარაღებელი“ ხალხი სოციალ-დემოკრატიის მეთაურობით გაწრთვნილი ჯარი დაამარცხოს; შენ მაინც ეჭვებს შეუპყრიხარ, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა დაინგრევა, არ გრძნობ რომ ის უკვე დამარცხებულია, არ გრძნობ, რომ ის ქედს მოიხრის რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინაშე. მაგრამ მე კიდევ შინაური მაგალითებით ვეცდები დაგანახო, რომ ყოველივე მანსები რევოლიუციისაკენაა. იმ დროს, როდესაც თვითმპყრობელობის დამქაშები, ხალხს ყოველ დღე იმტერებს, როდესაც ისინი აპირობენ ხალხის „დამონავებას“ ზარბაზნებით და ტყვიის-მფრქვეველებით, აი ამ დროს პროლეტარიატის შეგნებული მებაირახტრე გამუდმებით აგიტაციას ეწევა ხალხში და ააშკარავებს მთავრობის პოლიტიკას. უხსნის ჯარს მის პირუტყულ მდგომარეობას და ისიც მოყავს მოძრაობაში. გავიხსენოთ შავი-ზღვის მატროსების აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ და სოლიდარული ხელის გაწევა მშრომელ ხალხისაკენ, კრონშტადტის მოტროსების და სალდათების აჯანყება, მოსკოვის, კიევის და სხვა ქალაქების ჯარის მღელვარება, მოვისმინოთ სალდათების მიტინგების რეზოლიუციები, გავიხსენოთ, როგორ გაურბის ხალხი სალდათობას. ნუ თუ ყოველივე ეს რევოლიუციის გამარჯვებას არ მოასწავებს!

ახლა საშინელი ფინანსიური კრიზისი ბიუროკრატიისა! მაინც არ ირწმუნებ, რომ რევოლიუცია გაიმარჯვებს?!

მთავრობა, რომელიც რევოლიუციის ქარცეცხლშია გახვეული, საბრალო სანახავია, ის აბნეული, არეულ-დარეული, უტაქტიკო მოქმედების განხორციელება, რომ გაიხსენო საფრანგეთის ლიუდოვიკ მეთექსვმეტე და ტიურგოს რეფორმები, მაშინვე გაგახსენდებათ რუსეთის თვითმპყრობელობა თავისი ვიტე-დურნოვებით, რომელნიც დღეს ვითომც ხალხის საკეთილდღეოთ „რეფორმებს“ გამოაცხადებენ და ხვალ კი ხალხის მტრათ გამოდიან, ახლა გავათავოთ. იმას, რაც კონტრ-რევოლიუციამ მოგვივლინა, ისევ კონტ-რევოლიუცია ჩანთქვას. „რასაც დასთესს, იმასვე მოიმკის“.

თ. ღლონტი.

---

# ქრონიკა-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები 9 ნოემბრიდან.)

**— ნორვეგიის კომპარტიის ორ ჯგუფად გაყოფა.**

**— პოლონეთში საერთო გაფიცვა დამთავრდა.**

**— კრაკოვი აჯანყებულთა ხელშია.**

**— 5 ნოემბერს იაპონიაში განმეორებით იძრა მიწა.**

**— ექსპერტთა კომისიის საკითხში მოკავშირეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.**

**— გიტლერმა ჩამოაგდო კარი და მთავრობა ბავარიისა.**

**— გიტლერმა თავი გამოაცხადა სრულიად გერმანეთის დიქტატორად.**

**— ლიუდენდორფი გამოცხადდა სრულიად გერმანეთის სამხედრო მინისტრად და მთავარსარდლად.**

## გერმანეთის ამბები

**პარიზი.** 9 ღამით გიტლერმა ჩამოაგდო ბავარიის დიქტატორი კარა და ფონ კნიდლინგის მთავრობა. გიტლერმა თავი სრულიად გერმანეთის დიქტატორად გამოაცხადა, ხოლო ლიუდენდორფი სრულიად გერმანეთის სამხედრო მინისტრად და ნაციონალური ჯარების მთავარსარდლად. ბავარიის მთავრობის პრემიერად დაინიშნა ყოფილი პოლიციის პრეფექტი პოხნერი, ხოლო სამხედრო მინისტრად გენ. ლოსოვი. კნილინგი და შინაგან საქმეთა მინისტრი შვეიერი გამოცხადებული არიან დატუსაღებულად. ორი სხვა მინისტრი (გვარები ნაჩვენები არ არის), რომელთაც ბრალდებათ შტრეზემანთან მოლაპარაკება, გაგზავნილი არიან მიუნხენის ციხეში.

**პარიზი.** კარასა და კნილინგის მთავრობის ჩამოგდება მოხდა შემდეგნაირად: დღეს ღამით, პოლიტიკური კრების დროს, კარას სიტყვის შემდეგ, რომელმაც სასტიკად გაილაშქრა სოციალისტური პარტიების წინააღმდეგ, კრებაზედ მყოფი გიტლერი წამოხტა და წამოიძახა: „ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვაცხადოთ ნაციონალისტების დიქტატურა“. ამავე წამს კრებაზედ შემოვიდა გიტლერის რაზმი და ისროლა ჰაერში.

მომხდარ დაბნეულობის დროს გიტლერი ავარდა კათედრაზედ და განაცხადა, რომ დღეს, რევოლიუციის მე—5 წლის თავზედ ნაციონალისტები აცხადებენ დიქტატურას.

**ლონდონი.** მიუნხენიდან იცნობებიან, რომ მიუხედავად შტრეზემანის მუქარისა, ბავარიის ფაშისტთა კავშირებმა გადასწყვიტეს დაიწყონ ბერლინზედ გალაშქრება.

**მუშათა მოძრაობა**

**ქრისტიანია** (ნორვეგია). ნორვეგიის კომპარტიიდან გამოყოფილი ნაწილის, ტრამლეს მეთაურობით, ყრილობამ, განიხილა რა კომინტერნის პოლიტიკა, განაცხადა, რომ ის ეთანხმება მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ მუშებს და გაჰყვება კომუნისტურ პრინციპებს. ყრილობამ ერთხმად მიიღო ტრამოლენის რეზოლიუცია სადაო საკითხების შესახებ და დაადგინა მოითხოვოს საბჭოთა რუსეთის დე-იურედ ცნობა.

მეორე ჯგუფის (შეფლეს მეთაურობით). ყრილობამ ერთხმად მიიღო კომინტერნის აღმასკომის წინადადება, რათა ნორვეგიის კომპარტიას დაერქვას კომინტერნის ნორვეგიის სექცია. ყრილობა ხაზს უსვამს, რომ პასუხისმგებლობა გაყოფისათვის ედება ტრამოლენის ჯგუფის მეთაურებს. კომინტერნის ნორვეგიის სექციის ორგანო არის „არბეიტერბლადეტი“.

## უცხოეთი

**ვარშავა.** „პეპე“-ის მიერ ჩაშლილი საერთო გაფიცვა დამთავრდა. ბურჟუაზიული პრესა დღესასწაულობს გაფიცვის გათავებას და „პეპეეს“-ის კაპიტულიაციას. კომუნისტმა კრულკოვმა სასტიკად შეარცხვინა „პეპეეს“-ის მოღალატური მოქმედება.

**ვარშავა.** კრაკოვის მუშების შეიარაღებული აჯანყება დაიწყო ორშაბათს. ქალაქი ეხლაც მუშათა მილიციის ხელშია, რომელსაც სათავეში უდგას „პეპეესოველი“ დეპუტატი ბობროვსკი, ჯარსა და მუშებს შორის ბრძოლა რამდენიმე საათს გაგრძელდა, რის შემდეგაც ჯარმა ქალაქიდამ დაიხია.

**ტოკიო** (იაპონია) 5 ნოემბერს ქალ. ოდუტცუსა და მის მიდამოებში მოხდა ძლიერი მიწის რხევა, რომელიც გაგრძელდა 6 წამს და რომელმაც მცხოვრებლებში დიდი პანიკა გამოიწვია. ზარალი ჯერ არ გამოურკვეველია.

**ბერლინი.** ექსპერტთა კომისიის მოწვევის შესახებ შეთანხმებას ჯერ ვერ მიაღწიეს, რადგანაც საფრანგეთის მთავრობა განაგრძობს კომისიის კომპეტენციის შეზღუდვის მოთხოვნას.

**ს. ს. რ. კ. და უცხოეთი.**

**კოპენჰაგენი.** (დანია) დაარსდა სააქციონერო საზოგადოება 5 მილ. კრონის თანხით ს. ს. რ. კავშირში საქონლის შეტანისა და გამოტანისათვის დახმარების გასაწევად. გამგეობაში შედიან: რუსეთის კომერციულ ბანკის თავმჯდომარე ამბერგი, სახელმწიფო ბანკის რწმუნებული ლევინი და 3 დანელი. საზოგადოება მოქმედებას დაიწყებს დეკემბერში.

**რიგა** (ლატვია) გაიხსნა ს. ს. რ. კ. კოოპერატიულ ბანკის განყოფილება, რომელიც მოქმედებას დაიწყებს 15 დეკემბრიდან.

**რიგა** რიგის გაზეთებმა გამოაქვეყნეს საუბარი ლატვიის ელჩთან მოსკოვში, იზოლსთან, რომელმაც აცნობა, რომ 2 თვის მუშაობამ მოსკოვში მასზედ მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

---

# ახალი ამბები

**— განათლების მუშაკთა სახლში.** 10 ნოემბერს სად. 5 საათ. პროფ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით პრაქტიკული მეცადინეობა მინერალოგიაში. 10 ნოემბერს სად. 6 საათ. დაიწყება გ. ნათაძის ლექციები საზოგადოებრივ მეტყველებაზე ქართულ ენაზე 10 ნოემბერს სად. 7 ნახ. ს. პოტონოვას საზოგადო მოხსენება სახვითი ხელოვნების მრრიგი ამოცანები. სავალდებულოა დასწრება ხატვის ყველა მასწავლებელთა და სკოლების გამგეების. 12 ნოემბერს ორშაბათს სად. 7 საათ. დანიშნულია ყველა ტეხნიკურ თანამშრომელთა კრება პოლიტანზანის წრის საორგანიზაციოთ. 13 ნოემბერს სად. 6 საათ. პოლიტეკონომიის წრის სხდომა რუსულ ენაზე მანაკინის მოხსენება პოლიტეკონომიის საგანი. კვირას 11 ნოემბერს 11 საათ. ვსთხოვთ საბუნებისმეტყველო და გეოგრაფიის წრეების ყველა ხელმძღვანელთ მობრძანდენ პედაგოგიურ სექციის ბიუროში თავიანთი წრეებში სამეცადინო გეგმებით. ორშაბათს 12 ნოემბერს სად. 7 საათ. ფიზიკო-მათემატიკის წრეში რუსულ ენაზე კალიშევსკის მოხსენება პირველი კონცერტის ფიზიკის კურსის შესახებ 7 წლედში თამამშევის ალგებრული ელემენტი ოთხ წლედში. პერელმანის წიგნის რეცენზია. ფიზიკური ქრისტომატია. ამავე დღეს სად. 5 საათ. ფიზიკისა და მათემატიკის პროგრამის შედგენის კომისიის სხდომა. 13 ნოემბერს სად. 7 საათ. მათემატიკური წრის სალამო სომხურ ენაზე.

**— ცეცხლის მქრობელ ავტო მანქანის შეძენა ქ. სოხუმისათვის.** ქ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა სოხუმის ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის შეძენილი იქნეს ერთი ავტო-მანქანა და კიბე.

— **ახალგაზრდა უმუშევართა სექციის გაუქმება.** შრომის კომისარიატმა დაადგინა: შრომის ბირჟასთან არსებული ახალგაზრდა უმუშევართა სექცია გააუქმოს და აღრიცხული ახალგაზრდები განაწილებულნი იქნენ სხვა და სხვა სექციებში.

— **შრომის ბირჟის კომიტეტის გადახალისება.** შრომის კომისარიატმა გადასწყვიტა, მოახდინოს შრომის ბირჟის კომიტეტის გადახალისება, ახალ კომიტეტში შევლენ: თავმჯდომარედ შრ. ბირჟის გამგე, წევრებად სახ მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ქ. ალმასკომის, მიწ. მოქ. კომისარიატის, საქ. პროფკავშირთა საბჭოს, რკ. გზის სამმართველოს, და დამზღვევ კასის წარმომადგენელნი.

**უმუშევართა ხელ ახალი აღრიცხვა.** 15 ნოემბრიდგან დაიწყება უმუშევართა ხელ-ახალი აღრიცხვა.

— **პენსიონერების მისაცემად.** შრომის კომისარიატმა დაამტკიცა დადგენილების პროექტი იმ პირთა შესახებ, რომელნიც პენსიას ღებულობენ სოც. დაზღვევის სამმართველოდან და იმავე დროს აქვთ ჯამაგირი ან სხვა შემოსავალი.

— **არტელის წევრთა დაზღვევა** შრ. კომისარიატმა დაამტკიცა ტფ. დამზღვევ კასის დადგენილება არტელის წევრთა დასაზღვევად 12-პროც. ანარიცხვის დაწესების შესახებ.

— **„დამზღვევი კასის წევრი“.** იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა დაზღვეულთათვის სახელმძღვანელო, სახელწოდებით: „დამზღვევი კასის წევრი“ შედგენილი ს. კალაძის მიერ.

— **შრომის ბირჟა.** 8 ნოემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—99 უმუშ. ახლად ჩაეწერა—45. სამუშაოზე გაიგზავნა—56.

— **საავადმყოფოების საგნების განახლება.** საავადმყოფოების საგნების (ინვენტარის) გასაახლებლად ჯანმრთელობის სახ კომისარიატმა მიმდინარე წელს მიიღო 7 მილიარდი მანეთი.

— **ლექციები დედათა და ბავშვთა შესახებ.** მიმდინარე წელს ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ მოწყობილი იქნა ლექციები დედათა და ბავშვთა შესახებ ტფილისში—44, პროვინციაში კი—19.

### პროვინცი ს ცხოვრება.

— **ნინოშვილის ძეგლი.** 7 ნოემბერს ჩაქვაში (ბათომის ოლქი) გაიხსნა ე. ნინოშვილის ძეგლი.

## კორესპონდენცია

**ქ. ხონი.** ოქტომბრის 14 მოხდა საზოგადო კრება ქ. ხონის და მისი რაიონის განათლების მუშა მოსამსახურეთა—კრებაზე თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული ვლად. ჩხენკელი, მდივნად ვლად. ქაცარავა, ჩამოვიდა ქუთ. მაზრის განათლების მუშაკთა სახლის გამგე ამხ. კარპეზ ბერიძე (მემ. სოც.-ფედ.) და გააკეთა მოხსენება. ის შეეხო შემდეგ კითხვებს:

1. შრომის დაცვა (კოლექტიური ხელშეკრულება), 2. სოციალური დაზღვევა, 3. განათლების სახლის წარსული და მომავალი მუშაობა, 4. რიონის თემის შეფობა. წითელი არმიის შეფობა, და 5. ადგილკომის გადახალისება. ამ კითხვებს ამხანაგი შეეხო ვრცლად. მან ისე გააშუქა ეს საკითხები, რომ თვითეულ მუშა-მოსამსახურეს ამ საკითხების შინაარსი ნათლად დაუხატა თვალწინ. მან განაცხადა, რომ: ა) ამჟამად არსებებს კოლექტიური (მუშათა) ხელშეკრულება დადებული განათლების მუშაკთა მთავრობის შორის. მუშაკებს ჯილდოთ ეძლევათ ამ ხელშეკრულებით საქონლის მანეთებში, მხოლოდ საქონლის მანეთის, ინდექსი აღებულია ყოველთვის 8 რიცხვისა. ჯამაგირი კი ეძლევათ მოსამსახურეებს თვის ბოლოში. აგრეთვე თუ არის, მაგალითად ისეთი დაწესებულება სადაც მუშაობა საზიანოა ჯანმრთელობისათვის მომუშავეთ უნდა მიეცესთ განსაკუთრებული ნივთები (სათვალეები და სხვა) ან ისეთი საშვალებანი, რომლებიც აქარწყლებენ ამ საშიშროებას ან საკვები ნივთები (კვერცხი, რძე და სხვა) ან აგრეთვე ჰიგიენის საჭირო ნივთები (საპონი, პირსახოცი და სხვა) ამას, თუ ვის უნდა მიეცეს აღნიშნული საგნები არკვევს ადგილკომი და შეეხო აგრეთვე სხვა და სხვა ხელშეკრულების საკითხებს. შემდეგ შეეხო სოციალურ დაზღვევის საკითხს და გააცნო კრებას დამზღვევი კასის მნიშვნელობა; მან განაცხადა, რომ კასა უწევს დახმარებას მუშაკებს სხვა და სხვა შემთხვევებში, მაგალითად ავადმყოფობის დროს, შრომის უნარიანობის ნაწილობრივად ან მთლად დაკარგვის დროს, აგრეთვე მუშაკის გარდაცვალების დროს, ქვრივობლებს ეძლევათ დახმარება კასიდან და სხვა. ამას შემდეგ მომხსენებელი შეეხო განათლების სახლის საკითხს და ვრცლად გააშუქა განათლების სახლის წარსული და მომავალი მუშაობა.

მან აღნიშნა, რომ ამდენხანს განათლების სახლში იკითხებოდა ლექციები სხვადასხვა საგნებში ეხლა კი განზრახული აქვს სახლის გამგეობას, რომ ეს სახლი გამოიყენოს განათლების მომუშავე მოსამსახურეთა მოსამზადეულად.

განახლებული სკოლებისათვის განზრახულია მოწყობა ამ სახლში სხვა და სხვა საგნებში ლექციებისა, მოსამზადებლად.

განათლების მუშაკთა სახლის ერთი უმთავრესი დამსახურებათაგანი იმაში არის, რომ მან დაახლოვებით გაგვაცნო, თანამედროვე შრომის სკოლა მისი ძირითადი პრინციპები. ამხანაგმა აღნიშნა, რომ „შრომის სკოლა“ ჩვენი მასწავლებლებისათვის (განსაკუთრებით პროვინციაში) არ ატარებს არავითარ კონკრეტ-რკალ შინაარს, ის იგივე ტიპის დაწესებულებაა, როგორიც იყო უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი. გან. მუშ· სახლმა ამ გარემოებას უმთავრესად მიაქცია ყურადღება და საკმაოდ საფუძვლიანადაა, შესწავლილი სკოლის, როგორც თეორიული მხარე—ისე პრაქტიკული.

შრომის პროცესები. მისი ჩატარებას ისახავს მიზნად ეს სახლი; გაატაროს ნამდვილად სკოლის ცხოვრებაში შრომის პრინციპები. მან აღნიშნა, რომ ქუთაისში უკვე რამდენიმე თვეა გახსნილი განათლების მუშაკთა სახლი. დაარსებულია მთელი რიგი პედაგოგიური ხასიათის მუშაობა სექციაში სწარმოებს სისტემიტიური მეცადინეობა, ლექციების კითხვა საუბარები და სხვა. რაც შეეხება სკოლების პროგრამებს, მათ იმუშავებს განათლების კომისარიატი, მაგრამ ადგილობრივ პირობების მიხედვით ეს პროგრამები იქმნება გადამუშავებული.

უკვე დამთავრებულია ქართული ენის პროგრამა ამ საგნის მასწავლებლების ყრილობის შემდეგ ის იქნება ცხოვრებაში გატარებული, ადგილობრივ პირობების მიხედვით. აგრეღვე სხვა საგნების პროგრამებიც იქნება შედგენილი. ამის შემდეგ ამხანაგი შეეხო რიონის თემის შეფობას, წითელ არმიის შეფობას და აღნიშნა: ჩვენმა კავშირმა მიიღო შეფობა, წითელ არმიაზე და რიონის. რიონის თემს კი ვუწევთ დახმარებას წიგნების მიწვდენით, ბიბლიოთეკის და კოოპერატივის გახსნით და სხვებით. შეფობას მიზნათ აქვს დასახული ყოველ მხრივი, ნებაყოფლობითი და უფასო დახმარება გაუწიოს განსაკუთრებულ კავკასიის არმიის კულტ მუშაობას, კულტ — ორგანოების მეცნიერულ და მეთოდიურ საკითხების გამომუშავებაში.

აქტიურ მონაწილეობის მიღებით, მიზნის სისრულეში მოსაყვანათ გან. მუშ. კავშ. აგზავნის არმიის ნაწილებში სასკოლო საქმის მუშაკებს, რათა ხელი შეუწყოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, არც ერთ კავშირის წევრს არ შეუძლია უარი განაცხადოს ასეთ მუშაობაზე უჯილდოთ. კავშირი ხელს უწყობს საბიბლიოთეკო საქმის მოგვარებას ესკურსიების, სალამოების მოწყობას და წიგნების, სახელმძღვანელოების შეძენას. განსაკუთრებით ვრცლად ამხ. შეეხო ადგილკომის გადახალისებას, მან სთქვა:

ადგილკომები უნდა იყვნენ გადახალისებულნი, ძველი ადგილკომები იშლება. სამაზრო ქალაქებში ადგილკომები უქმდება, მათ ნაცვლად არსდება დელეგატ-რწმუნებულის ინსტიტუტი. თვითეულ დაწესებულებას ყავს დელეგატი. საკავშირო მუშაობა ქალაქის ფარგლებში სწარმოებს, განყოფილების გამგეობის ხელმძღვანელობით, მაზრაში:

თვითეული თემი ირჩევს დელეგატს, თემთა დელეგატები ადგენენ რაიონულ ადკომას, რომელსაკ უშვალოდ ხელმძღვანელობს მაზრა. რაიონული ადგილკომები იღებენ გასამრჯელოს კავშირიდან 30 საქ. მანეთის რაოდენობით. სასწავლებლიდან მოხსნილი იქნება და გაკვეთილები არ მიეცემა. ადგილ-კომები ირჩევა 6 თვის ვადით. ასეთებია ქუთაისის მაზრაში ორი: ქ. ხონში და ქ. სამტრედიაში. ადგილ-კომის მოვაალეობა მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვა.

ამ მიზნით ადგილკომი თვალყურს ადევნებს თუ რამდენად სწორედ ასრულებს ადმინისტრაცია შრომის დაცვისა და სოციალურ დაზღვევის კანონებს. აგრეღვე ადგილ-კომი აწყობს ლექციებს, წარმოდგენას, ხელს უწყობს წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. მონაწილეობას ღებულობს თანამშრომელთა მიღება და თხოვნაში. მუშა-მოსამსახურეებში რევოლიუციონურ-კლასიურ თვით შეგნების გაღვივება და მათში პროფესიონალურ—პროლეტარულ დისციპლინის გატარება. დასასრულ ამხანაგმა მისცა წინადადება კრებას, რომ არჩეული ყოფილიყო ადგილ-კომი, მაგრამ კრებამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ადგილკომის არჩევა გადასდო 21 ოქტომბრისათვის. ამის შემდეგ კრება დაიხურა.

21 ოქტომბერს ხელმეორედ შესდგა ქ. ხონის და მისი რაიონის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება. ეს კრება იყო წინა კრების გაგრძელება და მისი მიზანი იყო ადგილკომის ამორჩევა. კრებას დაესწრო გან. მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა. კრების გახსნისას მოხსენება გააკეთა თანამედროვე მდგომარეობაზე და კერძოთ გერმანიის მდგომარეობაზე ამხ. გიორგი ბახტაძემ. მომხსენებელმა მოუწოდა დამსწრეთ თავისი წვლილი შეიტანონ გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად, რაც ერთ ხმად იქმნა მიღებული. შემდეგ მოხდა ადგილკომის არჩევნები არჩეულ იქმნა ადგილ-კომათ ირ. ძიძიგური (კომუნისტი).

ამის შემდეგ კრება დაიხურა ქ. ხონში პირველი და მეორე მთლიანი შრომის სკოლის განათ. მუშა-მოსამსახურეთა რწმუნებულად ამორჩეულ იქმნენ ადგილობრივ პედაგოგიურ საბჭოს მიერ პირველი შრომის სკოლაში სონია ფარცხალაძე (კომუნისტი) და მეორე შრომის სკოლაში ერისტო კვიცარიძე (მემარც. ს.-ფედ.)

**ილია ფალავა,**

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## ტფილისის საბჭოს დადგენილება, № 42

„ 3 „ ნოემბერი 1923 წელ.

შენობების შესანახ ხარჯებსა და შემოსავალ შორის თანაბრობის მიღწევის მიზნით და აგრეთვე საბინაო ქირის შესახებ ტფილისის საბჭოს ახალ მომქმედ დადგენილებებისა ერთიან სისტემაში მოსაყვანათ ტფილისის საბჭომ დაადგინა:

1. ტფილისის საბჭოს ახლა მომქმედი დადგენილება № 11, 1923 წ. 23 აპრილის თარიღით საბინაო ქირის გადახდევინების შესახებ ყველა იმ დამატებითი დადგენილებებით, რომელიც ამ დადგენილებამდე გამოქვეყნდა, გაუქმებულ იქნას.

2. 1923 წლ. 1-ლ ოქტომბრიდან ტფილისის და მის რაიონების და მაზრის ტერიტორიაზე შემოღებულ იქმნას ქვემოთ—მოყვანილი „დებულება საცხოვრებელ ბინებზე საიჯარო ქირის შესახებ“.

საბჭოს თავმჯდომარე—**ხუხიშვილი.**

მდივანი—**თიკანაძე.**

—

### დებულება საცხოვრებელ ბინებზე საიჯარო ქირის შესახებ.

§ 1. საცხოვრებელ ბინებზე საიჯარო ფასების გამოსარკვევათ ქალაქ ტფილისისა და მისი რაიონები იყოფა ორ ნაწილათ: ცენტრი და განაპირა რაიონები.

**შენიშვნა:** ქალაქის ნაწილების საზღვრები აღნიშნულია ამ დადგენილებასთან დართულ დამატებაში.

§ 2. საიჯარო ქირის გადახდის მხრივ გადამხდელები იყოფიან 22 კატეგორიათ:

**1-ლი კატეგორია.**

ა) ყველა დაწესებულების და წარმოების მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც თვეში იღებენ ჯამაგირადან 5 მან

ა) უმუშევრები, რომლებიც იმყოფებიან შრომის ბირჟის აღრიცხვაზე და სარგებლობენ სოციალურ დაზღვევის უფლებით.

ბ) მოწაფეები, სასწავლო დაწესებულებებიდან სათანადო მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, თუ ისინი არ სცხოვრობენ მშობლებთან და არა აქვთ დამოუკიდებელი შრომის ხელფასი, და აგრეთვე ის მოსწავლენი, რომლებიც იღებენ სახელმწიფო სტიპენდიას, თუ არ სცხოვრობენ მშობლებთან.

გ) სოც. უზრუნვ. მყოფი ომისა და შრომის ინვალიდები.

დ) წითელ არმიელთა ოჯახების უმუშევარი წევრები.

**მე-2 კატეგორია.**

მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 5 მან. მაგრამ არა უმეტეს საქონლის 10 მანეთისა.

**მე-3 კატეგორია**

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც იღებენ საქონლის 10 მანეთზე მეტს. მაგრამ არა უმეტეს საქონლის 15 მანეთისა.

**მე-4 კატეგორია**

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც იღებენ თვეში საქონლის 15 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 20 მანეთისა.

**მე-5 კატეგორია.**

მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც თვეში იღებენ საქონლის 20 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს 25 მანეთისა.

**მე-6 კატეგორია**

მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 25 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 30 მანეთისა.

**მე-7 კატეგორია.**

ა) მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც თვეში იღებენ საქონლის 30 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 35 მანეთისა.

ბ) შინა მრეწველები, გაერთიანებული კავშირი „დამოუკიდებელი შრომა“.

**მე-8 კატეგორია.**

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ საქონლის 35 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტის საქონლის 40 მანეთისა.

**მე 9 კატეგორია.**

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ 40 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 45 მანეთისა.

**მე-10 კატეგორია**

მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც თვეში იღებენ 45 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 50 მანეთისა.

**მე 11 კატეგორია.**

ის პირნი, რომელნიც თვეში იღებენ 50 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 55 მანეთისა.

**მე-12 კატეგორია.**

ის პირნი, რომელნიც თვეში იღებენ 55 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 60 მანეთისა

**მე-13 კატეგორია.**

ის პირნი, რომელნიც იღებენ თვეში 60 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 65 მანეთისა.

**მე-14 კატეგორია**

ა) ის პირნი, რომელნიც თვეში იღებენ 65 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 70 მანეთისა.

ბ) თავისუფალ პროფესიის პირები, (თავისუფალ პრაქტიკის ექიმები, ინჟენერები, ლიტერატორები, მხატვრები, დამცველთა კოლეგიის წევრები, თუ მუშაობენ მხოლოდ თავის პროფესიაზე).

**მე-15 კატეგორია.**

ის პირები, რომლებიც იღებენ 70 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 75 მანეთისა.

**მე-16 კატეგორია.**

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 75 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 80 მანეთისა.

**მე-17 კატეგორია.**

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 80 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 85 მანეთისა.

**მე-18 კატეგორია.**

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 85 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 90 მანეთისა.

**მე-19 კატეგორია.**

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 90 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 95 მანეთისა.

**მე 20 კატეგორია.**

ის პირნი, რომლებიც თვეში იღებენ 95 მანეთზე მეტს, მაგრან არა უმეტეს საქონლის 100 მანეთისა.

**მე-21 კატეგორია.**

ის პირები, რომლებიც თვეში იღებენ 100 საქონლის მანეთზე მეტს.

**მე-22 კატეგორია**

დანარჩენი მოქალაქენი.

§ 3. არა შრომის შემოსავლის არსებობის დროს (ვაჭრობა, კომისიონერობა და სხვა) პირველ 21 კატეგორიის პირებისათვის და აგრეთვე აღნიშნულ პირების ოჯახების წევრებისათვის, მთელი ოჯახი უნდა ჩაირიცხოს მე-22-ე კატეგორიაში.

§ 4. საიჯარო ქირის რაოდენობა წესდება სასარგებლო საცხოვრებელი მოედანის კვადრატიულ არშინზე, შენობების ადგილ-მდებარეობის და კატეგორიების მიხედვით, შემდეგი განკვეთით:

| კატეგორიის პირები: | ქალაქის ცენტრ. ნაწ. კაპ. | განაპირა რაიონებისათვის კაპ. |
|---|---|---|
| 1 | 0,3 | 0,2 |
| 2 | 0,4 | 0,20 |
| 3 | 0,5 | 0,25 |
| 4 | 0,75 | 0,4 |
| 5 | 1,0 | 0,7 |
| 6 | 1,55 | 0,8 |
| 7 | 1,8 | 0,9 |
| 8 | 2 | 1 |
| 9 | 2,75 | 1,35 |
| 10 | 3 | 1,5 |
| 11 | 3,4 | 1,7 |
| 12 | 3,8 | 1,9 |
| 13 | 5,3 | 2,65 |
| 14 | 6 | 3 |
| 15 | 7 | 3,5 |
| 16 | 8 | 4 |
| 17 | 9 | 4,5 |
| 18 | 10 | 5 |
| 19 | 11 | 5,5 |
| 20 | 12 | 6 |
| 21 | 15 | 8 |
| 22 | „ | „ |

დანარჩენ მოქალაქეებისათვის შეთანხმების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 100 კაპ. 50 კაპ.

**შენიშვნა:** საიჯარო ქირა მუშა მოსამსახურ წესდება ძირითადი მტკიცე განკვეთის მიხედვით.

(დასასრული იქნება)

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

გაზეთი „ტრიბუნა“
ნოემბრის 1-დან ელირება:
პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად . . . . . . 7.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის . . . . . 9 000.000 „
ცალკე ნომერი . . . . . . 500.000 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 802 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ში, კრონშტეინის ქუჩ № 4.